შ.პ.ს. საპროექტო,
არქიტექტურულ–დიზაინერული სტუდია
„ბაზისი XXI“
საქართველო. თბილისი.
დავით აღმაშენებლის გამზ. №63-ა
ტელ. (+995 32) 295 66 63
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

L.T.D. projecting,
architect-design studio
„BAZISI XXI“
63a Agmashenebeli av.
Tbilisi. Georgia
mob. mob. (+995 599) 77 21 77
e-mail: bazisi_xxi@yahoo.com

№129/47 „18“ აპრილი 2017წ

# საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, გლდანი, V მ/რ, კორპუსი №11-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს “ნოლა 16”- ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ს/კ 01.11.12.005.158 მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

| | |
|---|---|
| დამკვეთი: | შ.პ.ს. „ნოლა 16” |
| პრ. მთ. არქიტექტორი: | გ. ყიფშიძე |
| პრ. მთ. კონსტრუქტორი: | დ. გიგინეიშვილი |
| ექსპერტი კონსტრუქტორი: | ი. ცერცვაძე (შპს “ბაზისი–XXI”) |

ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია ქ.თბილისში, გლდანის V მ/რ, კორპუსი №11-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, შ.პ.ს „ნოლა 16” - ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი ალბომისა და ელექტრონული ვერსიის სახით, სრული შემადგენლობით

საანგარიშო კლიმატური მონაცემებია:

- სამშენებლო მოედნის სეისმურობა – 8 ბალი;
- ქარის ნორმატიული დატვირთვა – 60 კგ/მ²;
- თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა 70 კგ/მ²;

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე შენობის საძირკვლის ფუძედ მიღებულია გრუნტი თიხნარი საანგარიშო წინაღობით $R_0$=2.8 კგძ/სმ²; შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია კარკასული ტიპის მონოლითური რკინა-ბეტონის სისტემაში.

პროექტს თან დართული აქვს სივრცული ანგარიში ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის LIRA-9.6-ის გამოყენებით, რის საფუძველზეც შესრულებულია პროექტის კონსტრუქციული ნაწილი.

შენობის საძირკვლები - კომბინირებულია. რკინა-ბეტონის ხიმინჯებზე მონოლითური რკინა-ბეტონის ფილა, სისქით 80 სმ. არმირებული ф18A-III. - ф32A-III. ფილა ეყრდნობა ბეტონის მომზადებაზე, სისქით 10 სმ, ბეტონის მარკა მ-100 და მდინარის ბალასტის ბალიშზე, H=40 სმ. კოლონები მონოლითური რკინა-ბეტონის კვეთები: 40X40, 50X50, 60X60 და 70X70 სმ. არმირებული ф22A-III გამანაწილებელი არმატურა ф8A-I ბ-200, ურიგელო - მონოლითური რკინა-ბეტონის, გარე სარტყელით ზომებით 50X60 სმ-ით. არმირებული მუშა არმატურები ф22A-III, განაწილებული ჩაკეტილი მარყუჟებით ф8A-I. სართულშუა გადახურვები - მონოლითური რკინა - ბეტონის, სისქით 19სმ.

## დ ა ს კ ვ ნ ა:

ქ.თბილისში, გლდანი, V მ/რ. კორპუსი №11- ის მიმდებარე ტერიტორიაზე შ.პ.ს "ნოლა 16 "- ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საკმარისი მოცულობით, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით, არქიტექტურულ ნაწილთან სრულ შესაბამისობაში და აკმაყოფილებს სეისმური მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას.

აქედან გამომდინარე, ექსპერტი დადებით შეფასებას აძლევს პროექტს და რეკომენდაციას უწევს მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შპს „ბაზისი-XXI"-ის
გენერალური დირექტორი, კონსტრუქტორი: /ი.ცერცვაძე/

შპს „ბაზისი-XXI"-ის
ექსპერტი, კონსტრუქტორი: /ი. ცერცვაძე/